საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №337
2014 წლის 19 ნოემბერი

ქ. თბილისი

,,გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,გადასახადების ადმინისტრირების შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111; 200090000.22.033.016112, 3.01.2011წ.) დამტკიცებული ინსტრუქციის „დანართი №III-01“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-3 დღეს.

ფინანსთა მინისტრი **ნოდარ ხადური**

„დანართი №III-01

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება)

_____

საიდენტიფიკაციო ნომერი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ

გთხოვთ, დამარეგისტრიროთ დღგ-ის გადამხდელად

—— სსკ 157-ე მუხლის შესაბამისად (სავალდებულო რეგისტრაცია)

_____

(სავალდებულო რეგისტრაციის თარიღი)

დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის დაგვიანების შემთხვევაში, განცხადებით მომართვის თვეში რეგისტრაციის გარეშე განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების (გარდა გათავისუფლებული ოპერაციებისა) თანხა	…… ლარი

—— სსკ 158-ე მუხლის შესაბამისად (ნებაყოფლობით რეგისტრაცია)

(საჭირო უჯრა აღნიშნეთ „ V“ ნიშნით)

შენიშვნა: დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის პერიოდზე დღგ-ის დეკლარაციების წარდგენის შემთხვევაში პირი დაჯარიმდება მხოლოდ სსკ-ის 282-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით. ამ შემთხვევაში დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენისათვის პირს სსკ-ის 274-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა არ დაეკისრება. ხოლო დეკლარაციის წარუდგენლობის შემთხვევაში (ითვლება, რომ გადამხდელმა წარადგინა დეკლარაცია, რომლის საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია) პირი, გარდა სსკ-ის 282-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ჯარიმისა, ჯარიმდება აგრეთვე სსკ-ის 275-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მიხედვით.

განმცხადებლის ხელმოწერა ----------

(თარიღი)“.